საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია (ბაფი)

\

2020 წლის განგრძობითი განათლების პროგრამა № SARAS-CPD-008/20

პროგრამის შედგენის საფუძვლები

წინამდებარე განგრძობითი განათლების პროგრამა შემუშავებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის (შემდგომ - სამსახური) უფროსის 2017 წლის 18 აგვისტოს #ნ-13 ბრძანებით დამტკიცებული „განგრძობითი განათლების სტანდარტის“ (შემდგომ - სტანდარტი) საფუძველზე და გამოიყენება აუდიტორების/სერტიფიცირებული ბუღალტრების განგრძობითი განათლებისთვის.

პროგრამა ეფუძნება სტანდარტის მე-16 მუხლის მოთხოვნებს, მოიცავს 30 საათიან სემინარებს და შემდეგნაირად ნაწილდება:

1. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები **9 საათი;**
2. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები **9 საათი;**
3. საგადასახადო და ბიზნეს კანონმდებლობის სიახლეები **12 საათი.**

პროგრამა აღიარებულია :

*ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ, ბრძანება **№** 379, 16/07/2020*

პროგრამის აღწერა

1. **პროგრამის დასახელება -** განგრძობითი განათლება
2. **პროგრამის ნომერი -** CPD/GFPAA/2020
3. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია** - პროფესიული კომპეტენციის დადასტურება
4. **პროგრამის მოცულობა** –30 საათი

5. პროგრამის საფუძველი: „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნები; განგრძობითი განათლების სტანდარტი

6. **სწავლების ენა** - ქართული

7. პროგრამის ხელმძღვანელი: კონსტანტინე დათიაშვილი - ბაფის განათლების კომიტეტის თავმჯდომარე

8. პროგრამის მიზანი: განგრძობითი განათლების პროგრამის მიზანია სერტიფიცირებული ბუღალტრის მიერ უკვე შეძენილი პროფესიული კომპეტენციის შენარჩუნებისა და განვითარების, ასევე, ახალი როლის შესასრულებლად საჭირო პროფესიული კომპეტენციის შეძენისა და მათი განვითარების უზრუნველყოფა, რაც გამოიხატება ტექნიკური კომპეტენციის, პროფესიული უნარების, პროფესიული ფასეულობების, ეთიკის და დამოკიდებულებების სათანადო დონეზე სრულყოფაში. ასევე, ბაზარზე არსებული გამოწვევების და რისკების გაცნობა და შესაბამისი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მიღება, რომელიც დაეხმარება სერტიფიცირებულ ბუღალტერს თავისი საქმის ეფექტიანად წარმართვაში.

9. სწავლის შედეგები: სერტიფიცირებულმა ბუღალტერმა განგრძობითი განათლების პროგრამის გავლის შედეგად უნდა განაახლოს და გაიღრმაოს პროფესიული კომპეტენცია, რაც მოიცავს: ტექნიკური კომპეტენციებს, კერძოდ, განგრძობითი განათლების პროგრამის ფარგლებში არსებულ საგნებში მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს; პროფესიულ უნარებს, რომლებიც არის, კომუნიკაბელურობის, პერსონალური, ორგანიზაციული უნარები, რომელთა ტექნიკურ კომპეტენციასთან, პროფესიულ ფასეულობებთან, ეთიკასთან და დამოკიდებულებებთან ინტეგრაციის საშუალებით ვლინდება სერტიფიცირებული ბუღალტერის პროფესიული კომპეტენცია

10. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები: ლექცია წაიმართება დისტანციურად, ონლაინ რეჟიმში, საკომუნიკაციო ტექნოლოგიის „ზუმის" დახმარებით (შემდგომში „Zoom"). თითოეულ მონაწილეს წინასწარ გაეგზავნება კოდი და საკონფერენციო დარბაზის ნომერი, რომლის დახმარებითაც პირადი ტელეფონით ან კომპიუტერით შეძლებენ დისტაციურად ლექციაზე დასწრებას. რეგისტრაციის გავლის დროს, ყველა მონაწილეს გაეგზავნება დისტანციურად ლექციაზე დასწრების სახელმძღვანელო, რომლშიც საილუსტრაციო მაგალითის გამოყენებით აღწერილი იქნება პირადი კომპიუტერით ან ტელეფონით ლექციაზე ჩართვის სქემა. ასევე აღნიშნული სახელძღვანელო დაიდება პროფესიული ორგანიზაციის ვებგვერდზე. ლექცია წარიმართება ონლაინ რეჟიმში სადაც თითოეულ მსმენელს შესაძლებლობა ექნება რომ ჩაერთოს დისკუსიაში. განხილული იქნება მაგალითებზე მსჯელობა: წარმოდგენილი სტანდარტების ახსნა-განმარტებები და მათი პრაქტიკული გამოყენების მეთოდი; ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება. ლექტორი უფლებამოსილია მსმენელს მიაწოდოს თეორიული და პრაქტიკული მასალა იმ ფორმატით რომელიც წარმოდგენილია სწავლების დროს. ლექტორი ვალდებულია აწარმოოს მსმენელთა დასწრების აღრიცხვა, რომელიც მოხდება ელქტრონულად (პოლის აპლიკაციის გამოყენებით).

11. პროგრამის სასწავლო კურსის სტრუქტურა და ნომერი:

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები - CPD/GFPAA/2020/01;

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდრტები - CPD/GFPAA/2020/02;

საგადასახადო და ბიზნეს კანონმდებლობის სიახლეები - CPD/GFPAA/2020/03.

პროგრამის სასწავლო კურსის სილაბუსი

1. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები

პროგრამა 1.1. ეთიკის კოდექსი პროფესიონალი ბუღალტრებისთვის

სასწავლო პროგრამის დასახელება	**ეთიკის კოდექსის ცვლილებების გავლენა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებზე**	*პროგრამის ნომერი* CPD/GFPAA/2020/01

სასწავლო კურსის თემატიკა	
3 საათი	**თემა:** პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის ზეგავლენა აუდიტის და სხვა მარწმუნებელი გარიგებების საერთაშორისო სტანდარტებზე (International Auditing and Assurance Standards Board (IAASB) 1. ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტებზე (ხკსს) 2. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებზე 3. მიმოხილვის საერთაშორისო სტანდარტები 4. სხვა მარწმუნებელი გარიგებების საერთაშორისო სტანდარტებზე **5. დამოუკიდებლობის სტანდარტი**
სასწავლო კურსის ფორმატი	ლექცია ჩატარდება დისტანციური სწავლების* ფორმატში, რა დროსაც ლექტორი ზემოთ მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით მსმენელებს მიაწვდის სალექციო მასალას და განიხილავს პრაქტიკულ მაგალითებს. წახალისებული იქნება კითხვა-პასუხის ფორმატი როგორც ლექციის მსვლელობისას ასევე მისი დასრულების შემდგომ.
სასწავლო კურსის მიზანი	სასწავლო კურსის მიზანია მსმენელებისათვის პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის და მასში შესული ცვლილებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებული პროფესიონალი ბუღალტრების მიმართ არსებული მოთხოვნების გაცნობა და დამკვიდრებული პრაქტიკის გაზიარება.
სწავლების შედეგები	გაიზრდება მსმენელთა ინფორმირებულობის დონე პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის შესახებ; მსმენელებს ნათელი წარმოდგენა შეექმნებათ ზემოაღნიშნული საკითხების მნიშვნელობასა და პრიორიტეტულობაზე, რაც აუცილებელი პირობაა იმისათვის, რომ სერტიფიცირებულმა ბუღალტერმა/აუდიტორმა პირნათლად შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობები.

სწავლის ერთეულის ოდენობა		
თეორიული ნაწილი (ლექცია) და პრაქტიკული მაგალითები	3 სთ	მსმენელთა სურვილის შემთხვევაში კითხვა-პასუხის სესია შესაძლოა გაგრძელდეს ლექციის შემდგომაც.

კითხვა-პასუხის რეჟიმი		
სასწავლო ლიტერატურისა და სხვა რესურსების ჩამონათვალი		
<u>ძირითადი ლიტერალურა</u>		
1. ეთიკის კოდექსის სახელმძღვანელო პროფესიონალი ბუღალტრებისთვის - 2018 წლის გამოცემა 2. IAASB - ს საერთაშორისო სტანდრტების სავალდებულო ცვლილებები 2018 წლის პროფესიონალი ბუღალტრებისთვის ეთიკის კოდექსის ცვლილებების საფუძველზე		
<u>დამხმარე ლიტერატურა და მასალები</u>		
1. ლექტორის მიერ მომზადებული პრეზენტაცია		
სწავლების ენა	ქართული	
ინფორმაცია ლექტორის შესახებ		
სახელი, გვარი	ლელა ფხაკაძე	
უმაღლესი განათლება	სახელმწიფო მართვის უნივერსიტეტის (მოსკოვი, რუსეთი) მაგისტრი, სპეციალობა - ფინანსები და კრედიტი ACCA-ს (Association of Chartered Certified Accountants) წევრი	
პრაქტიკული გამოცდილება	2011 წლიდან - აუდიტორული ფირმის „იუაი“ (EY Global -ის წევრი) აუდიტორი. 2016 წლიდან - აუდიტის მენეჯერი მარწმუნებელი მომსახურების დეპარტამენტში	
საკონტაქტო ინფორმაცია	მობ: 555 187627, e-mail: Lela.Pkhakadze@ge.ey.com	

პროგრამა 1.2: აუდიტის ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის შედეგები

სასწავლო პროგრამის დასახელება	აუდიტის ხარისხის კონტროლის სისტემაში არსებული ცდომილებები **აუდიტის ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტში (ISQC 1) ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტის (ISQM 1) ჩანაცვლებით გამოწვეული ცვლილებები**	*პროგრამის ნომერი* CPD/GFPAA/2020/01
სასწავლო კურსის თემატიკა		

3 საათი	**თემა:** 1. აუდიტის ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის შედეგების განხილვა 2. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნები, რომლის გადაცდომასაც სისტემატური ხასიათი ჰქონდა 3. ხკსს 1 - ხარისხის კონტროლი ფირმებისთვის, რომლებიც ახორციელებენ ფინანსური ანგარიშგების აუდიტის, მიმოხილვის და სხვა სახის მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურების გარიგებებს **4. აუდიტის ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტში (ISQC 1) ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტის (ISQM 1) ჩანაცვლებით გამოწვეული ცვლილებები**
სასწავლო კურსის ფორმატი	ლექცია ჩატარდება დისტანციური სწავლების ფორმატში, რა დროსაც ლექტორი ზემოთ მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით მსმენელებს გაუზიარებს სალექციო მასალას და შესაბამის ინფორმაციას. წახალისებული იქნება კითხვა-პასუხის ფორმატი როგორც ლექციის მსვლელობისას ასევე მისი დასრულების შემდგომ. ლექციაზე თეორიულ მასალასთან ერთად განხილული იქნება პრაქტიკული მაგალითები.
სასწავლო კურსის მიზანი	სასწავლო კურსის მიზანია დაეხმაროს მსმენელებს აუდიტის სტანდარტების უკეთ აღქმაში და გაიზიარონ სხვა აუდიტორული კომპანიების გამოცდილება. ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის შედეგების განხილვა საშუალებას მისცემს მსმენელებს, რომ წინასწარ გაითვალისწინონ გარკვეული რისკები, რომელიც შესაძლოა თან ახლდეს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტის გამოყენებას და მათი პრაქტიკაში გამოყენებისას პრევენცია გაუკეთონ აღნიშნულ რისკებს.
სწავლების შედეგები	პროფესიული საქმიანობის განმახორციელებელ პირთა გადამზადება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ დამტკიცებული „განგრძობითი განათლების სტანდარტის“ მოთხოვნების შესაბამისად, რაც შესაძლებლობას მისცემს აუდიტორებს და სერტიფიცირებულ ბუღალტრებს აიმაღლონ კვალიფიკაცია და ცოდნა საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების და დამკვიდრებული პრაქტიკის შესახებ.
სწავლის ერთეულის ოდენობა	

ლექცია *პრაქტიკული*	**3 სთ**	მსმენელთა სურვილის შემთხვევაში კითხვა-პასუხის სესია შესაძლოა გაგრძელდეს ლექციის შემდგომაც.
სასწავლო ლიტერატურისა და სხვა რესურსების ჩამონათვალი		
<u>ძირითადი ლიტერალურა</u>		
1. სამსახურის მიერ განხორციელებული ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის დროს გამოვლენილი ხარვეზების სახეები 2. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები 3. (ხკსს) 1 – «ხარისხის კონტროლი აუდიტორული ფირმებისთვის, რომლებიც ასრულებენ ფინანსური ანგარიშგების აუდიტსა და მიმოხილვას და სხვა სახის მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურების გარიგებებს»		
<u>დამხმარე ლიტერატურა</u>		
1. ACCA-ს სასერტიფიკატო პროგრამის სახელმძღვანელოები 2. ლექტორის მიერ მომზადებული დამატებითი სალექციო მასალა 3. ხარისხის კონტროლის, აუდიტის, მიმოხილვის, სხვა მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო დოკუმენტების ცნობარი,		
სწავლების ენა	ქართული	
ინფორმაცია ლექტორის შესახებ		
სახელი, გვარი	ვიოლეტა ბეჭვაია	
უმაღლესი განათლება	კავკასიის ბიზნეს სკოლა ბაკალავრი, ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი 2017 წლიდან სერტიფიცირებულ ნაფიც ბუღალტერთა ასოციაციის „ACCA“-ის წევრი	
პრაქტიკული გამოცდილება	2012 – 2015 წლებში - დელოიტი საქართველო, უფროსი აუდიტორი 2015 წლიდან -დღემდე - ქსელური აუდიტორული ფირმის „იუაი“ (EY Global -ის წევრი) აუდიტის განყოფილების მენეჯერი.	
საკონტაქტო ინფორმაცია	მობ: 599500888 , violetta.bechvaya@ge.ey.com	

პროგრამა 1.3: COVID 19-ის გავლენა აუდიტის პროცედურებზე

სასწავლო პროგრამის დასახელება	COVID 19-ის გავლენა აუდიტის პროცედურებზე	*პროგრამის ნომერი* CPD/GFPAA/2020/01
სასწავლო კურსის თემატიკა		
3 საათი	**თემა:** 1. COVID-19-ის გავლენის შედეგად შექმნილ ცვალებად გარემოში გასათვალისწინებელი პრიორიტეტული საკითხები 2. ფუნქციონირებადი საწარმო ახლანდელ ცვალებად გარემოში — აუდიტში გასათვალისწინებელი პრიორიტეტული საკითხები COVID-19-ის გავლენასთან დაკავშირებით: a. ხელმძღვანელობისა და აუდიტორის პასუხისმგებლობები b. რისკის შესაფასებელი პროცედურები და ხელმძღვანელობის დასკვნის მართებულობის შეფასება აუდიტორის მიერ c. დამატებითი პროცედურები, როდესაც მოვლენები ან პირობები გამოვლინდება d. გავლენა აუდიტორის დასკვნაზე 3. ფინანსური ინსტრუმენტები (IFRS 9): a. მიმდინარე განუსაზღვრელობა კონცენტრაციისა და ლიკვიდობის რისკების გამო b. გავლენა მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე და მასთან დაკავშირებულ აუდიტის პროცედურებზე 4. აქტივების გაუფასურების საკითხები და გავლენა აუდიტის პროცედურებზე 5. სახელმწიფო სუბსიდირება 6. გავლენა სალიზინგო ხელშეკრულებებზე (IFRS 16) და მასთან დაკავშირებულ აუდიტის პროცედურებზე 7. სადაზღვევო ანაზღაურებები და მასთან დაკავშირებული აუდიტის პროცედურები 8. აქტივების სამართლიანი ღირებულების შეფასება და მასთან დაკავშირებული აუდიტის პროცედურები	
სასწავლო კურსის ფორმატი	ლექცია ჩატარდება დისტანციური სწავლების ფორმატში, რა დროსაც ლექტორი ზემოთ მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით მსმენელებს გაუზიარებს სალექციო მასალას და შესაბამის ინფორმაციას. წახალისებული იქნება კითხვა-პასუხის ფორმატი როგორც ლექციის მსვლელობისას ასევე მისი დასრულების შემდგომ. ლექციაზე თეორიულ მასალასთან ერთად განხილული იქნება პრაქტიკული მაგალითები.	
სასწავლო კურსის მიზანი	სასწავლო კურსის მიზანია მსმენელებისათვის ინფორმაციის მიწოდება როგორც დამკვიდრებული პრაქტიკის შესახებ და ასევე, სხვა ქვეყნების	

	განსხვავებული მოთხოვნებისა და გამოცდილებების გაზიარება.
სწავლების შედეგები	პროფესიული საქმიანობის განმახორციელებელ პირთა გადამზადება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ დამტკიცებული „განგრძობითი განათლების სტანდარტის“ მოთხოვნების შესაბამისად, რაც შესაძლებლობას მისცემს აუდიტორებს და სერტიფიცირებულ ბუღალტრებს აიმაღლონ კვალიფიკაცია და ცოდნა საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების და დამკვიდრებული პრაქტიკის შესახებ.

სწავლის ერთეულის ოდენობა		
ლექცია *პრაქტიკული*	**3 სთ**	მსმენელთა სურვილის შემთხვევაში კითხვა-პასუხის სესია შესაძლოა გაგრძელდეს ლექციის შემდგომაც.

სასწავლო ლიტერატურისა და სხვა რესურსების ჩამონათვალი		
<u>ძირითადი ლიტერალურა</u>		
1. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები		COVID-19-ის გავლენის შედეგად შექმნილ ცვალებად გარემოში გასათვალისწინებელი პრიორიტეტული საკითხები ფუნქციონირებადი საწარმო ახლანდელ ცვალებად გარემოში — აუდიტში გასათვალისწინებელი პრიორიტეტული საკითხები COVID-19-ის გავლენასთან დაკავშირებით
2. EY - Applying IFRS Accounting considerations for the coronavirus outbreak		COVID-19-ის გავლენა აუდიტორულ პროცედურებზე
<u>დამხმარე ლიტერატურა</u>		
1. ლექტორის მიერ მომზადებული დამატებითი სალექციო მასალა		

სწავლების ენა	ქართული
ინფორმაცია ლექტორის შესახებ	
სახელი, გვარი	ლევან დაშნიანი
უმაღლესი განათლება	საქართველოს თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრო ქარხნების მშენებლობის მაგისტრი.

პრაქტიკული გამოცდილება	2012 წელს - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ელექტრონული საინფორმაციო სისტემების დეველოპერი 2014 წლიდან - დღემდე - ქსელური აუდიტორული ფირმის „იუაი“ (EY Global -ის წევრი) აუდიტის განყოფილების მენეჯერი 2018 წლიდან - დღემდე - კავკასიის უნივერსიტეტის ლექტორი.
საკონტაქტო ინფორმაცია	მობ: 557 73 03 95; e-mail: Levandashniani@gmail.com

პროგრამის სასწავლო კურსის სილაბუსი

2. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (ფასს)

პროგრამა 2.1: მსს ფასს დაგეგმილი ცვლილებები

სასწავლო პროგრამის დასახელება	მსს ფასს დაგეგმილი ცვლილებები	*პროგრამის ნომერი* CPD/GFPAA/2020/02
სასწავლო კურსის თემატიკა		
3 საათი	**თემა:** 1. მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა (მსს ფასს) და სრულ ფასს შორის არსებული ძირითადი სხვაობები 2. მსს ფასს-ის 2020 წლის ცვლილებები, რომელიც ეხება მსს ფასს-ის მიახლოვებას სრულ ფასს-სთან: 1.1. ფინანსური ანგარიშგების კონცეფციები და ხარისხობრივი მახასიათებლები 1.2. ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვა (თავი 11 და 12) 1.3. კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 1.4. იჯარა 1.5. ამონაგები 1.6. სამართლიანი შეფასება 1.7. შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები 1.8. ჰეჯირების აღრიცხვა, კრიპტოვალუტა და სხვა 3. გამოწვევები და დადებითი მხარები მსს ფასს-ს ცვლილებების დანერგვასთან დაკავშირებით	
სასწავლო კურსის ფორმატი	ლექცია ჩატარდება დისტანციური სწავლების ფორმატში, რა დროსაც ლექტორი ზემოთ მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით მსმენელებს	

	გაუზიარებს სალექციო მასალას და შესაბამის ინფორმაციას. წახალისებული იქნება კითხვა-პასუხის ფორმატი როგორც ლექციის მსვლელობისას ასევე მისი დასრულების შემდგომ. ლექციაზე თეორიულ მასალასთან ერთად განხილული იქნება პრაქტიკული მაგალითები.
სასწავლო კურსის მიზანი	სასწავლო კურსის მიზანია მსმენელებისათვის ინფორმაციის მიწოდება, სტანდარტით მოთხოვნილი არსებული სავალდებულო პროცედურების და დაგეგმილი ცვლილებების შესახებ. აგრეთვე, სხვა ქვეყნების განსხვავებული მოთხოვნებისა და გამოცდილებების გაზიარება.
სწავლების შედეგები	პროფესიული საქმიანობის განმახორციელებელ პირთა გადამზადება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ დამტკიცებული „განგრძობითი განათლების სტანდარტის“ მოთხოვნების შესაბამისად, რაც შესაძლებლობას მისცემს აუდიტორებს და სერტიფიცირებულ ბუღალტრებს აიმაღლონ კვალიფიკაცია და ცოდნა საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების და დამკვიდრებული პრაქტიკის შესახებ.

სწავლის ერთეულის ოდენობა		
ლექცია *პრაქტიკული*	**3 სთ**	მსმენელთა სურვილის შემთხვევაში კითხვა-პასუხის სესია შესაძლოა გაგრძელდეს ლექციის შემდგომაც.
სასწავლო ლიტერატურისა და სხვა რესურსების ჩამონათვალი		
<u>ძირითადი ლიტერალურა</u>		
1. მსს ფასს - ის სახელმძღვანელო 2. International Accounting Standards Board (IASB)-ის მიერ წარმოდგენილი ცვლილებები მსს ფასს-ში		
<u>დამხმარე ლიტერატურა</u>		
1. ექსპერტთა სხვადასხვა პუბლიკაცია მსს ფასს-ის ცვლილებებთან დაკავშირებით 2. International Accounting Standards Board (IASB)-ის პუბლიკაციები მსს ფასს-ის ცვლილებების აუცილებლობის და მიზნობრიობის შესახებ.		
სწავლების ენა	ქართული	
ინფორმაცია ლექტორის შესახებ		
სახელი, გვარი	ნანა ღვალაძე	
უმაღლესი განათლება	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიის ბიზნესის სკოლის ფაკულტეტი ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო	

	უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ფინანსების დოქტორანტი
პრაქტიკული გამოცდილება	2008 – 2010 წლამდე - აუდიტორული ფირმის იუაი (EY Global -ის წევრი) სენიორ აუდიტორი 2010 - 2015 წლამდე - სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე 2014 წლიდან - საჯარო აუდიტის ინსტიტუტის ტრენერი საჯარო აუდიტორის საერთაშორისო სტანდარტებისა და შიდა აუდიტის სტანდარტში 2015 წლიდან - აუდიტორული ფირმის იუაი- ს (EY Global -ის წევრი) ანგარიშგების, საერთაშორისო ვალდებულების შესრულებისა და ანგარიშგების მომსახურების მენეჯერი 2018 წლიდან - აუდიტორული ფირმა იუაი- ს (EY Global -ის წევრი) პროფესიული ტრენინგების კოორდინატორი.
საკონტაქტო ინფორმაცია	მობ: 593 98 20 21; e-mail: nana.ghvaladze@ge.ey.com

პროგრამა 2.2: COVID 19-ის გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე

სასწავლო პროგრამის დასახელება	COVID 19-ის გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე	*პროგრამის ნომერი* CPD/GFPAA/2020/02
სასწავლო კურსის თემატიკა		
3 საათი	**თემა:** a. ფუნქციონირებადი საწარმოს შეფასება COVID-19-ით გამოწვეული მნიშვნელოვანი ცვლილებების გათვალისწინებით b. ფინანსური ინსტრუმენტები (IFRS 9) i. ბიზნეს მოდელების შეფასება და შესაძლო ცვლილებები ფინანსური აქტივების კლასიფიკაციაში ii. კონტრაქტების მოდიფიკაცია iii. ცვლილებები მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში iv. დამატებითი განმარტებითი შენიშვნები	

	c. არაფინანსური აქტივების გაუფასურება d. სალიზინგო ხელშეკრულებები (IFRS 16) i. სალიზინგო ხელშეკრულებების მოდიფიკაცია ii. COVID-19 გავლენით გამოწვეული ცვლილებები IFRS 16-ის სტანდარტში e. სახელმწიფო გრანტები და მათი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე f. აქტივების სამართლიანი ღირებულების შეფასება და მასთან დაკავშირებული სირთულეები COVID 19-ით გამოწვეულ ცვალებად და გაურკვეველ გარემოში g. დამატებითი მოთხოვნები ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებზე.

სასწავლო კურსის ფორმატი		ლექცია ჩატარდება დისტანციური სწავლების ფორმატში, რა დროსაც ლექტორი ზემოთ მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით მსმენელებს გაუზიარებს სალექციო მასალას და შესაბამის ინფორმაციას. წახალისებული იქნება კითხვა-პასუხის ფორმატი როგორც ლექციის მსვლელობისას ასევე მისი დასრულების შემდგომ. ლექციაზე თეორიულ მასალასთან ერთად განხილული იქნება პრაქტიკული მაგალითები.
სასწავლო კურსის მიზანი		სასწავლო კურსის მიზანია მსმენელებისათვის ინფორმაციის მიწოდება, მიმდინარე ბაზარზე არსებული ცვლილებების შესახებ. ასევე, სხვა ქვეყნების განსხვავებული მოთხოვნებისა და გამოცდილებების გაზიარება.
სწავლების შედეგები		პროფესიული საქმიანობის განმახორციელებელ პირთა გადამზადება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ დამტკიცებული „განგრძობითი განათლების სტანდარტის“ მოთხოვნების შესაბამისად, რაც შესაძლებლობას მისცემს აუდიტორებს და სერტიფიცირებულ ბუღალტრებს აიმაღლონ კვალიფიკაცია და ცოდნა რისკების მართვის და დამკვიდრებული პრაქტიკის შესახებ.
სწავლის ერთეულის ოდენობა		
ლექცია *პრაქტიკული*	**3 სთ**	მსმენელთა სურვილის შემთხვევაში კითხვა-პასუხის სესია შესაძლოა გაგრძელდეს ლექციის შემდგომაც.
სასწავლო ლიტერატურისა და სხვა რესურსების ჩამონათვალი		
<u>ძირითადი ლიტერალურა</u>		
1. IFAC საგანგებო პრაქტიკული მითითება 2020 წლის მარტი		COVID-19-ის გავლენის შედეგად შექმნილ ცვალებად გარემოში გასათვალისწინებელი პრიორიტეტული საკითხები ფუნქციონირებადი საწარმო ახლანდელ ცვალებად გარემოში — აუდიტში გასათვალისწინებელი

		პრიორიტეტული საკითხები COVID-19-ის გავლენასთან დაკავშირებით.
2. EY - Applying IFRS Accounting considerations for the coronavirus outbreak		COVID-19-ის გავლენა აუდიტორულ პროცედურებზე
<u>დამხმარე ლიტერატურა</u>		

2. ლექტორის მიერ მომზადებული დამატებითი სალექციო მასალა	
სწავლების ენა	ქართული
ინფორმაცია ლექტორის შესახებ	
სახელი, გვარი	ნათია სვანაძე
უმაღლესი განათლება	საქართველოს თავისუფალი უნივერსიტეტის, ESM ბიზნესის სკოლის ბაკალავრი 2015 წლიდან სერტიფიცირებულ ნაფიც ბუღალტერთა ასოციაციის „ACCA“-ის წევრი
პრაქტიკული გამოცდილება	2008 წლიდან - დღემდე - ქსელური აუდიტორული ფირმის „იუაი“ (EY Global -ის წევრი) აუდიტის განყოფილების უფროსი მენეჯერი.
საკონტაქტო ინფორმაცია	მობ: 598 93 93 01; e-mail: natia.svanadze@ge.ey.com

პროგრამა 2.3: COVID 19 -ის გავლენა ბიზნეს საქმიანობაზე

სასწავლო პროგრამის დასახელება	COVID 19-ის გავლენა ბიზნესს საქმიანობა	*პროგრამის ნომერი* CPD/GFPAA/2020/02
სასწავლო კურსის თემატიკა		
3 საათი	**COVID-19-ის გავლენა ბიზნეს საქმიანობა** 1. COVID-19_ის გავლენა ბიზნეს სექტორებზე 2. მოწყვლადი ბიზნეს სექტორები 3. COVID-19_ის გავლენა მაკროეკონომიკურ ფაქტორებზე 4. რისკები რომელიც სხვადასხვა ბიზნეს სექტორს წარმოეშვა:	

	4.1.	სამშენებლო და ინდუსტრიული ნაწარმის კომპანიები
	4.2.	სატრასპორტო კომპანიები
	4.3.	დაზღვევა და ბანკები
	4.4.	საცალო ვაჭრობა
	4.5.	მედია
	4.6.	ტურისზმი და სასტუმროები
	4.7.	ენერგო რესურსები

სასწავლო კურსის ფორმატი	ლექცია ჩატარდება დისტანციური სწავლების ფორმატში, რა დროსაც ლექტორი ზემოთ მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით მსმენელებს გაუზიარებს სალექციო მასალას და შესაბამის ინფორმაციას. წახალისებული იქნება კითხვა-პასუხის ფორმატი როგორც ლექციის მსვლელობისას ასევე მისი დასრულების შემდგომ. ლექციაზე თეორიულ მასალასთან ერთად განხილული იქნება პრაქტიკული მაგალითები.
სასწავლო კურსის მიზანი	სასწავლო კურსის მიზანია მსმენელებისათვის ინფორმაციის მიწოდება, მიმდინარე ბაზარზე არსებული ცვლილებების შესახებ. აგრეთვე, სხვა ქვეყნების განსხვავებული მოთხოვნებისა და გამოცდილებების გაზიარება.
სწავლების შედეგები	პროფესიული საქმიანობის განმახორციელებელ პირთა გადამზადება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ დამტკიცებული „განგრძობითი განათლების სტანდარტის“ მოთხოვნების შესაბამისად, რაც შესაძლებლობას მისცემს აუდიტორებს და სერტიფიცირებულ ბუღალტრებს აიმაღლონ კვალიფიკაცია და ცოდნა რისკების მართვის და დამკვიდრებული პრაქტიკის შესახებ.

სწავლის ერთეულის ოდენობა		
ლექცია *პრაქტიკული*	**3 სთ**	მსმენელთა სურვილის შემთხვევაში კითხვა-პასუხის სესია შესაძლოა გაგრძელდეს ლექციის შემდგომაც.

სასწავლო ლიტერატურისა და სხვა რესურსების ჩამონათვალი		
<u>ძირითადი ლიტერალურა</u>		
1. მსოფლიო წამყვანი საკონსულტაციო კომპანიების კვლევები 2. ადგილობრივი საკონსულტაციო კომპანიების ანგარიშები (TBC Capital and G&T		COVID-19-ის გავლენის შედეგად შექმნილ ცვალებად გარემოში გასათვალისწინებელი პრიორიტეტული საკითხები

Georgia)		
3. სტატისტიკის სააგენტოს მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური მასალები		მაკროეკონომიკური ფაქტორების სტატისტიკური მონაცემები
<u>დამხმარე ლიტერატურა</u>		

3. ლექტორის მიერ მომზადებული დამატებითი სალექციო მასალა	
სწავლების ენა	ქართული
ინფორმაცია ლექტორის შესახებ	
სახელი, გვარი	ნანა ღვალაძე
უმაღლესი განათლება	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიის ბიზნესის სკოლის ფაკულტეტი ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ფინანსების დოქტორანტი
პრაქტიკული გამოცდილება	2008 – 2010 წლამდე - აუდიტორული ფირმის იუაი (EY Global -ის წევრი) სენიორ აუდიტორი 2010 - 2015 წლამდე - სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე 2014 წლიდან - საჯარო აუდიტის ინსტიტუტის ტრენერი საჯარო აუდიტორის საერთაშორისო სტანდარტებისა და შიდა აუდიტის სტანდარტში 2015 წლიდან - აუდიტორული ფირმის იუაი- ს (EY Global -ის წევრი) ანგარიშგების, საერთაშორისო ვალდებულების შესრულებისა და ანგარიშგების მომსახურების მენეჯერი 2018 წლიდან - აუდიტორული ფირმისიუაი- ს (EY Global -ის წევრი) პროფესიული ტრენინგების კოორდინატორი
საკონტაქტო ინფორმაცია	მობ: 593 98 20 21; e-mail: nana.ghvaladze@ge.ey.com

3. საკანონმდებლო და საგადასახადო ცვლილებები

პროგრამა 3.1. საკანონმდებლო ცვლილებები

სასწავლო პროგრამის დასახელება	**საკანონმდებლო ცვლილებები**	*პროგრამის ნომერი* CPD/GFPAA/2020/03
სასწავლო კურსის თემატიკა		
4 საათი	**თემა:** ცვლილებები საქართველოს კერძო ბიზნესის სფეროში არსებული მარეგულირებელი ნორმების შესახებ, რომლებმაც შესაძლოა არსებითი ზეგავლენა მოახდინოს პროფესიონალი ბუღალტრების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე და მათ მიერ პროფესიული საქმიანობის ფარგლებში გამოთქმულ მოსაზრებაზე. ცვლილებები განხილული იქნება თემატურად და გაანალიზებული იქნება 2020 წლებში განხორციელებული ცვლილებების გავლენა სხვადასხვა დარგის საწარმოებსა თუ ფიზიკური პირების საქმიანობაზე. სემინარზე მოხდება ძირეული ცვლილებების შეჯამება და ამ ცვლილებებიდან გამომდინარე აქტუალური საკითხების მიმოხილვა. დამატებითი დრო იქნება დათმობილი კითხვა-პასუხის რეჟიმისთვის რა დროსაც მოხდება გამოცდილების გაზიარება სემინარზე დამსწრეთა შორის. განხილული იქნება Covid-19-თან დაკავშირებით მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები და მისი გავლენა სამართლებრივ ურთიერთოებებზე (მათ შორის, საგანგებო მდგომარეობა და სახელმწიფოს ღონისძიებები, სახელშეკრულებო ურთიერთობები, შრომითი ურთიერთობები, სამართლებრივი მოქმედებების ელექტრონულად შესრულება და სხვა).	
სასწავლო კურსის ფორმატი	ლექცია ჩატარდება დისტანციური სწავლების ფორმატში, რა დროსაც ლექტორი ზემოთ მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით მსმენელებს მიაწვდის სალექციო მასალას და განიხილავს პრაქტიკულ მაგალითებს. წახალისებული იქნება კითხვა-პასუხის ფორმატი როგორც სემინარის მსვლელობისას, ასევე მისი დასრულების შემდგომ.	
სასწავლო კურსის მიზანი	კურსის მიზანია მსმენელთა ინფორმირება კერძო სექტორთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებებისა და იმ გამოწვევების შესახებ, რაც აუცილებელია პროფესიული საქმიანობის სწორად წარმართვისათვის, რათა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი პროფესიული შეცდომების დაშვების რისკი.	
სწავლების შედეგები	გაიზრდება მსმენელთა ინფორმირებულობის დონე ბიზნეს სამართლის შესახებ. ლექციის გავლის შემდგომ მსმენელებს სრულყოფილი წარმოდგენა შეექმნებათ იმ პრაქტიკულ ცვლილებებზე, რაც გამოწვეულია ბიზნეს სამართალში შესული ცვლილებების შედეგად. აღნიშნული კი საშუალებას მისცემს მათ, კონკრეტული დარგის კომპანიისთვის მომსახურების გაწევისას, გამოკვეთონ ის პრობლემური და მაღალი რისკის შემცველი საკითხები, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს ფინანსურ აღრიცხვაზე და ანგარიშგების მომზადებაზე.	
სწავლის ერთეულის ოდენობა		

თეორიული ნაწილი (ლექცია) *და პრაქტიკული მაგალითები* *კითხვა-პასუხის რეჟიმი*	4 სთ	მსმენელთა სურვილის შემთხვევაში კითხვა-პასუხის სესია შესაძლოა გაგრძელდეს ლექციის შემდგომაც.
სასწავლო ლიტერატურისა და სხვა რესურსების ჩამონათვალი		
<u>ძირითადი ლიტერალურა</u>		
1. საკანომდებლო მაცნე		
2. ამონარიდები მთავრობის დადგენილებებიდან		
3. სიტუაციური სახელმძღვანელოები		
4. ნორმები ბიზნეს კანონმდებლობიდან (მათ შორის: საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებები და სხვა სამართლებრივი აქტები)		
<u>დამხმარე ლიტერატურა და მასალები</u>		
1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 2. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ 3. სხვა სამართლებრივი აქტები.		
სწავლების ენა	ქართული	
ინფორმაცია ლექტორის შესახებ		
სახელი, გვარი	ელენე სულხანიშვილი	
უმაღლესი განათლება	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თბილისი, საქართველო), სამართლის დოქტორანტი (2019 წელი) ილინოისის ტექნოლოგიების ინსტიტუტის ჩიკაგო-კენტის სამართლის სკოლა / Chicago-Kent College of Law, IIT (ჩიკაგო, აშშ), მაგისტრის ხარისხი (11/08/2014 – 15/05/2015) ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თბილისი, საქართველო), ბაკალავრის ხარისხი სამართალმცოდნეობაში (2010 – 2014 წლები)	
პრაქტიკული გამოცდილება	შპს „იუაის“ იურიდიული პრაქტიკის მენეჯერი 2019 წლის 1 ოქტომბრიდან დღემდე შპს „იუაის“ ტრენერი ტრენინგის თემაზე: „შრომის სამართლის სტრატეგიული საკითხები და რისკები“ შპს „იუაის“ ტრენერი ტრენინგის თემაზე: „საპენსიო რეფორმა“ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი - 2016 წლის სექტემბრიდან დღემდე: ▪ სემინარი, შესავალი კერძო სამართალში. ▪ სემინარი, სახელშეკრულებო სამართალი. ▪ სემინარი, შესავალი ვალდებულებით სამართალში. ▪ სემინარი, სანივთო სამართალი. ▪ სემინარი, საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი - 01/2017 – 02/2020:	

	▪ სემინარი, საოჯახო და მემკვიდრეობით სამართალში. ▪ ლექცია, შრომითი ურთიერთობის სამართლებრივი ასპექტები. შპს „იუაის“ უფროსი იურისტი - 01/10/2017 – 01/10/2019 საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) მოწვეული ლექტორი - 09/2016 – 01/2017: ▪ სემინარი, შესავალი ვალდებულებით სამართალში. ილინოისის ტექნოლოგიების ინსტიტუტის ჩიკაგო-კენტის სამართლის სკოლის კვლევითი ასისტენტი - 05/01/2015 – 29/05/2015. საერთაშორისო საადვოკატო ფირმა დეკერტის / Dechert LLP (ჩიკაგო, აშშ) პრაქტიკანტი - 08/2014 – 09/2014. შპს „არსის“ იურისტი - 2011 წლის სექტემბრიდან 2013 წლის დეკემბრამდე.
საკონტაქტო ინფორმაცია	მობ: 599 13 53 63; e-mail: elene.sulkhanishvili@ge.ey.com

პროგრამა 3.2. საგადასახადო ცვლილებები

სასწავლო პროგრამის დასახელება	**საგადასახადო ცვლილებები**	*პროგრამის ნომერი* CPD/GFPAA/2020/03
სასწავლო კურსის თემატიკა		
3 საათი	**თემა:** 2020 წელს განხორცელებული/განსახორციელებელი ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება #996-ში, ასევე სხვა დაკავშირებულ ბრძანებებში/ინსტრუქციებში/სიტუაციურ სახელმძღვანელოებში. მათ შორის ცვლილებები: 1. COVID -19 თან დაკავშირებული საგადასახადო ღონისძიებები და შეღავათები: • გადასახადის გადავადება; • შეღავათები საშემოსავლო გადასახადის ნაწილში; • ზედმეტად გადახდილი გადასახადის დაბრუნების გამარტივებული წესები. 2. საგადასახადო კოდექსში 2020 წელს განხორციელებული ცვლილებების მიმოხილვა 3. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 996 ბრძანებაში შესული ცვლილებების მიმოხილვა 4. 2020 წლის მიმდინარე პროექტები და პარლამენტში ინიცირებული კანონმპროექტების მიმოხილვა. ცვლილებები განხილული იქნება თემატურად, გადასახადების და ადმინისტრაციული საკითხების მიხედვით და გაანალიზებული იქნება 2019-2020 წლებში განხორციელებული ცვლილებების გავლენა სხვადასხვა დარგის საწარმოებისა თუ ფიზიკური პირების საქმიანობაზე. სემინარზე მოხდება ძირეული ცვლილებების შეჯამება და ამ	

	ცვლილებებიდან გამომდინარე აქტუალური საკითხების მიმოხილვა. დამატებითი დრო იქნება დათმობილი კითხვა-პასუხის რეჟიმისთვის რა დროსაც მოხდება გამოცდილების გაზიარება სემინარზე დამსწრეთა შორის.
სასწავლო კურსის ფორმატი	ლექცია ჩატარდება დისტანციური სწავლების ფორმატში, რა დროსაც ლექტორი ზემოთ მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით მსმენელებს გაუზიარებს აუცილებელ ინფორმაციას. წახალისებული იქნება კითხვა-პასუხის ფორმატი. სემინარზე განხილული იქნება პრაქტიკული მაგალითები, რომელთა ელექტრონული ვერსიები, ისევე როგორც სხვა დანარჩენი სასწავლო მასალები (ამონარიდები სხვადასხვა ინსტრუქციებიდან, პრეზენტაცია, ე.წ. მანუალები და სხვა) დამსწრეებს მიეწოდებათ ელექტრონული ფორმით.
სასწავლო კურსის მიზანი	სასწავლო კურსის მიზანია სრულყოფილი წარმოდგენა შეუქმნას მსმენელებს საგადასახადო კანონმდებლობაში განხორციელებული უახლესი ცვლილებებისა და იმ გამოწვევების შესახებ, რაც მნიშვნელოვანია პროფესიული საქმიანობის სწორად წარმართვისთვის, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი პროფესიული შეცდომების დაშვების რისკი, რაც რეალურად არსებობს და მეტისმეტად მაღალია პროფესიული საქმიანობის ცვლილებებისა და საკანონმდებლო სიახლეების ზედმიწევნით შესწავლის გარეშე წარმართვის შემთხვევაში.
სწავლების შედეგები	გაიზრდება მსმენელთა ინფორმირებულობის დონე საგადასახადო დაბეგვრის სფეროში არსებულ საკითხებზე. სემინარის გავლის შემდგომ მსმენელებს სრულყოფილი წარმოდგენა შეექმნებათ იმ პრაქტიკულ ცვლილებებზე, რასაც გამოიწვევს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებები. აღნიშნული საშუალებას მისცემს მათ, კონკრეტული დარგის კომპანიისთვის მომსახურების გაწევისას, გამოკვეთონ ის პრობლემური და მაღალი რისკის შემცველი საკითხები, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინონ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა ან/და აუდიტის ჩატარების შემდგომ აუდიტორის მიერ გამოთქმულ მოსაზრებაზე.

სწავლის ერთეულის ოდენობა		
საგადასახადო ცვლილებები: *ლექცია და სიტუაციური მაგალითები*	3 სთ	მსმენელთა სურვილის შემთხვევაში კითხვა-პასუხის სესია შესაძლოა გაგრძელდეს ლექციის შემდგომაც.
სასწავლო ლიტერატურისა და სხვა რესურსების ჩამონათვალი (ხელმისაწვდომი იქნება ინტერნეტ ბმულის მეშვეობით, ელექტრონული სახით)		
<u>ძირითადი ლიტერატურა</u>		
1. ნორმები საგადასახადო კოდექსიდან 2. სიტუაციური სახელმძღვანელოები		
<u>დამხმარე ლიტერატურა და მასალები</u>		
1. საქართველოს საგადასახადო კოდექსი 2. ფინანსთა მინისტრის ბრძანებები 3. ლექტორის მიერ მომზადებული პრეზენტაცია 4. პრაქტიკული ამოცანები და სხვა სასწავლო მასალები		
სწავლების ენა	ქართული	
ინფორმაცია ლექტორის შესახებ		

სახელი, გვარი	სალომე ქარჩხაძე
უმაღლესი განათლება	ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი: ბაკალავრის და მაგისტრის ხარისხი - ეკონომიკის ფაკულტეტი, სპეციალობა: ფინანსები და საბანკო საქმე.
პრაქტიკული გამოცდილება	სსიპ შემოსავლების სამსახური, აუდიტის დეპარტამენტი, უფროსი აუდიტორი - 2013 წლამდე შპს „იუაი“, საგადასახადო კონსულტანტი 2013 -2017 წლები შპს „იუაი“, საგადასახადო მენეჯერი 2017 წლიდან დღემდე შპს „იუაი“ ტრენერი შემდეგ ტრენინგებზე: 2016წ - მოგების გადასახადის ესტონური მოდელი, ტრენინგი კერძო კომპანიების დაკვეთით 2016წ. - მოგების გადასახადის ახალი მოდელის აქტუალური/პრობლემური საკითხები, ტრენინგი კერძო კომპანიების დაკვეთით. 2017წ. - სიფა (საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაცია) -ცვლილებები საგადასახადო კოდექსში 2017წ. - საგადასახადო ცვლილებები და მათი პრაქტიკული მაგალითები , ტრენინგი კომპანიის კლიენტებისთვის თავისუფალი უნივერსიტეტი, მოწვეული ლექტორი - საგადასახადო სამართლის პრაქტიკული კურსი - 2017 წლის იანვრიდან დღემდე.
საკონტაქტო ინფორმაცია	მობ: 577 05 88 40; e-mail: salome.karchkhadze@ge.ey.com

პროგრამა 3.3. ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის ხელშეწყობა

სასწავლო პროგრამის დასახელება	ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლა	პროგრამის ნომერი: CPD/GFPAA/2020/03
სასწავლო კურსის თემატიკა		
5 საათი	**თემა:** 2019 წლის 30 ოქტომბერს მიღებულმა საქართველოს კანონმა „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ მნიშვნელოვნად შეცვალა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკანონმდებლო ჩარჩო. შეიცვალა ანგარიშვალდებული პირების, მათ შორის, სერტიფიცირებული ბუღალტრებისა და აუდიტორების/აუდიტორული ფირმების, უფლება-მოვალეობები ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში. წინამდებარე კურსის ფარგლებში განხილულ იქნება ის უფლება-მოვალეობები, რაც გააჩნიათ სერტიფიცირებულ ბუღალტრებსა და აუდიტორებს/აუდიტორულ ფირმებს, როგორც ანგარიშვალდებულ პირებს,	

	ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის აღკვეთის პროცესში. მიმოხილულ იქნება ისეთი საკითხები, როგორიცაა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მიმართული ადგილობრივი და საერთაშორისო სტანდარტები; ანგარიშვალდებული პირები და მათი მოვალეობები; საზედამხედველო ორგანოები და მათი კომპეტენცია; ანგარიშვალდებული პირების მიერ რისკების შეფასება და მართვა; პრევენციული ღონისძიებები (იდენტიფიკაცია/ვერიფიკაცია); ანგარიშგება; შიდა კონტროლის მექანიზმები. წინამდებარე კურსი ორიენტირებულია ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის წინააღმდეგ ქართული კანონმდებლობისა და პრაქტიკული ასპექტების სწავლებაზე, თუმცა, კურსის ფარგლებში, აგრეთვე განხილულ იქნება საერთაშირისო ნორმები და რეკომენდაციები, რომლებიც მნიშვნელოვანი და რელევანტურია ადგილობრივი კანონმდებლობის განმარტებისთვის.
სასწავლო კურსის ფორმატი	ლექციის ჩატარდება დისტანციური სწავლების ფორმატში. როგორც კურსის მსვლელობისას, ისე მისი დასრულების შემდეგ მსმენელებს ექნებათ კითხვების დასმის საშუალება.
სასწავლო კურსის მიზანი	სასწავლო კურსის მიზანია ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ მსმენელების ცნობიერების ამაღლება, მსმენელებისთვის ინფორმაციის მიწოდება აღნიშნული სფეროში მოქმედი კანონმდებლობისა და მისი იმპლემენტაციის შესახებ, რაც აუცილებელია მათ მიერ პროფესიული საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობის დაცვით განხორციელებისთვის.
სწავლების შედეგები	კურსის გავლის შემდეგ მსმენელებს ექნებათ ამომწურავი ინფორმაცია ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის შესახებ; ისინი მიიღებენ ცოდნას, რომელიც აუცილებელია კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესასრულებლად, რისკების იდენტიფიცირებისა და მართვისთვის. მსმენელები შეძლებენ მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას და პროფესიული საქმიანობის წარმართვას საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების სრული დაცვით.

სწავლის ერთეულის ოდენობა		
თეორიული ნაწილი (ლექცია) და პრაქტიკული მაგალითები კითხვა-პასუხის რეჟიმი	5 სთ	მსმენელთა სურვილის შემთხვევაში კითხვა-პასუხის სესია შესაძლოა გაგრძელდეს ლექციის შემდგომაც.

სასწავლო ლიტერატურისა და სხვა რესურსების ჩამონათვალი

<u>ძირითადი ლიტერალურა</u>

1. საქართველოს კანონი „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“;
2. ფულის გათეთრების სფეროში მოქმედი სხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები;
3. ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) რისკზე დაფუძნებული მიდგომის სახელმძღვანელო ბუღალტრებისთვის.

<u>დამხმარე ლიტერატურა და მასალები</u>

1. ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის; 2. 2005 წლის 26 ოქტომბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2005/60/EC დირექტივა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების მიზნებისთვის ფინანსური სისტემის გამოყენების აღკვეთის თაობაზე; 3. ევროკომისიის 2006/70/EC დირექტივა, რომლითაც დადგინდა ევროპარლამენტისა და საბჭოს 2005/60/EC დირექტივის აღსრულებისათვის საჭირო ზომები, რაც ეხება პოლიტიკურად აქტიური პირის განმარტებას და კლიენტის იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის გამარტივებულ პროცედურებს და ვერიფიკაციის განხორციელებისაგან გათავისუფლებასთან დაკავშირებულ ტექნიკურ კრიტერიუმებს; 4. 2014 წლის 18 მარტის საქართველოს მთავრობის №236 დადგენილება „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“; 5. ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) რეკომენდაციები: ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების, მის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო სტანდარტები.	
სწავლების ენა	ქართული
ინფორმაცია ლექტორის შესახებ	
სახელი, გვარი	გიორგი მირცხულავა
უმაღლესი განათლება	სასექსის უნივერსიტეტი (2010 – 2011) მაგისტრატურა საერთაშორისო სავაჭრო სამართალში (წარჩინებით); საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (ჯიპა) (2008 – 2010) მაგისტრატურა საერთაშორისო სამართალში; სოხუმის უნივერსიტეტი (2004 – 2008) ბაკალავრიატი სამართალმცოდნეობაში
პრაქტიკული გამოცდილება	მუშაობს იურისტად EY-ში 2014 წლიდან დღემდე
საკონტაქტო ინფორმაცია	მობ: 591 55 69 69; e-mail: giorgi.mirtskhulava@ge.ey.com

***დისტანციური სწავლების პროცესის მონიტორინგი**

სემინარის დისტანციური სწავლება წარიმართება „ZOOM” აპლიკაციის საშუალებით, ყველა მონაწილეს წინასწარ გაეგზავნება კოდი და ბმული, რომლის საშუალებითაც შეძლებენ ლექციაზე დისტანციურ დასწრებას. დასწრება შეიზღუდება და მხოლოდ რეგისტრირებული მონაწილეები და სამსახურის წარმომადგენლები იქნებიან დაშვებული. სალექციო კურსის ორგანიზატორი ვალდებულია ლექციის დაწყებამდე უზრუნველყოს ბმულის გაგზავნა სასახურისათვის.

ყველა მონაწილე ვალდებული იქნება რომ თავის სახელი და გვარით მოახდინონ მომხმარებლის რეგისტრაცია, და სალექციო კურსის მსვლელობის დროს ჩართული ჰქონდეს კამერა. სხვა შემთხვევაში დასწრება არ ჩაეთვლება.

სალექციო კურსის ორგანიზატორი, სესიის დასრულების შემდგომ ვალდებულია, რომ პროფესიულ ორგანიზაციას გაუგზავნოს იმ მონაწილეთა სია რომელიც მთელი სესიის მსვლელობისას ესწრებოდა კურსს. “Zoom” აპლიკაცია საშუალებას იძლევა რომ ყველა მონაწილის დასწრება აღრიცხოს წუთობრივად: შეხვედრაზე დისტანციურად ჩართვიდან - გამოსვლამდე. ტექნიკური ხარვეზის არსებობის შემთხვევაში, ორჯერ შემოსული ერთი და იგივე მომხმარებელი, დასწრების სიაში აღირიცხება ორჯერ, მაგრამ მისი დასწრების საათები ჯამურად უნდა დაედაროს კურსის მთლიან ხანგრძლივობას.